საქართველოს კანონი

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №13-14, 8.04.1998, გვ. 201) 15^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15^1. პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება

პარლამენტის წევრს შეიძლება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

1 მაისი 2015 წ.

N3536-IIს